

542
1982



1982 ГОДА

САНКТ-ПЕТЕРБУРГСКИЙ
УНИВЕРСИТЕТ

მშობლების გზას განვაგრძობ

ძიუზვარდ ისახაძე

იციტ, ჩემი ბავშვობა
საამაყო რითია?
დღედაც კომუნისტია,
მამაც კომუნისტია!
დღედა გახლავთ მქსოველი,
მამა—თუჯის მღნობელი,
თავთაიანთ საქმეში
არც ერთს არ ჰკუაეს მჯობნელი.
ღირსეულად აფანებს
მთ ღიღ გარჯას პარტია:
დღედაც დებუტატია,
მამაც დებუტატია!
ქვეყნად, ხალხის მსახურნი,
კარგს სთესავენ უხვად,
ავს კი ისე ებრძვიან.
როგორც ლენინს უყვარდა.
აი, ჩემი ბავშვობა
საამაყო რითია,
დღედაც კომუნისტია,
მამაც კომუნისტია!
მინდა ყველას გავენლო
ჩემი გულის ნადები:—
მშობლების გზას განვაგრძობ,
როცა ღიღი გავხდები.

ქრისტიანული მეცნიერება მეცნიერება

1942 წლის მაისის დასაწყისში, ქერჩის ნახევარკუნძულზე შტრის ალუაში მომწვედელი საბჭოთა ჯარისკაცები ფაშისტ დამპყრობლებს ტყვედ რომ არ ჩავარდნოდნენ, აჩიშუკაის ქვის სამეტყლო გვირაბებს შეეხიზნენ და პარტიზანული ბრძოლებით გააგრძელეს წინააღმდეგობა.

ეს გვირაბები რამდენიმე ათეულ კილომეტრზე იყო დაქსაქსული მიწის ქვეშ და მიუდგომელ ბუნებრივ ციხე-სიმაგრეს წარმოადგენდა.

მებრძოლებთან ერთად აჩიშუკაის ლაბირინთებს თავი შეაფარა ათასობით ადგილობრივმა მაცხოვრებელმა.

ფაშისტები უოველ ღონეს ხმარობდნენ მათ მოსასპობად, ბოშებით არღვევდნენ კედლებს, ბილწავდნენ სასმელ წყალს. ბოლოს კი გვირაბებში მსუთავი მხარობელთა გაზიც შეუშვეს და უფოალავი კატრიოტი გააუდეს. მოწამლეს, სიცოცხლეს გამოასალმეს. მათგან უმრავლესობა ბავშვები, ქალები და მოხუციები იყვნენ.

მაგრამ აჩიშუკაის ლეგენდარული გარნიზონი თითქმის ნახევარი წლის მანძილზე მაინც უშკლავდებოდა მტერს. მებრძოლთა შორის ბევრი ქართველი მეომარიც იყო. თითქმის ყველა მათგანი გმირულად დაიღუპა.

დღეს აჩიშუკაის ქვის სამეტყლოებში საბრძოლო აღდეების მუზეუმი მოწყობილი, მის შუაგულში. ყველაზე ვრცელ დარბაზში, ცივად მოკლვარე გრანიტის ფილების ქვეშ პატარა აჩიშუკაელები არიან დაკრძალულნი.

მათ შკრდზე საშუღამეშო საჩუქრად ადევთ გაუწავავი ხელით გამორორკნილი უცნაური და შეუხედავი სათამაშოები.

ეს მოთხრობა აჩიშუკაის კატაკომბებში მოშბდარი ტრაგედიის ერთ-ერთ ეპიზოდს ასახავს.

იმ აყლყყუდა, სახემოზუნზლულმა ჯარისკაცმა, მეგობრები ზედმეტ სახელად თხანვერას რომ ეძახდნენ, მთელი ღამე ჩხირკედელაობაში გაათენა, ჭრაქის შუქზე, ალაბლაპეზული დანით თლიდა და ასუფთავებდა გამომშრალი ხის მომცრო ნაჭერს და გარიჟრაჟისს დაამგვანა კიდევ თოჯინას. ხელეზად წვრილი ჩხირები მიაბა, ფეხებიც ჩამოუკონიალა, შემდეგ ლაზარეთის შესასვლელს

ჩამოფარებულ ფარდაც მალულად ბოლო ნააჭრა, რის ვაივაგლახით კაბის მაგვარი რაღაც შეჯღანა და თავისსავე ნაცრდილარს შემოახვიდა.

ლაზარეთიდან მოულოდნელად გამოსული ნაადრევედ გაჭალარავებული ექიმიც სწორედ მაშინ ნაადგა თავს, როდესაც კმაყოფილი ჯარისკაცი მუშტრის თვალით ამომებდა თავის ნახელავს.

17.10

ქ. მარტის სახ. საბ. სსრ
აბოხლოვანი ტრესტო-
ნიკა ...



— მაინცდამაინც პიგმალიონობას¹. ნუ დაიჩემებ, — ქირქილით უთხრა ექიმმა და ტიკინას ნაწყვეტილ ცხვირში ნკიაურტი ნაჰკრა, — ეგ კი არა, ვგონებ ვერც მამილო კარლოს² გაუტოლდები. — დასძინა შემდგომ.

თხანვერა ჯარისკაცს არც ერთი გაეგონა და არც მეორე, თუმცა იმას კი მიხვდა, რომ ექიმი აბუჩად იგდებდა. ამის მიუხედავად მან კეთილად გაუღიმა ექიმს და თოჯინა, რომელიც საფრთხობელას უფრო ჰგავდა, ვიდრე სათამაშოს, ხელში შეათამაშა.

— მთავარია, რომ მარისკაცს გაეხარებდა. — უდრტირნეველად მიუგო და ნათქვამის გააზრებით ვიწყობილება იგრძნო.

თუმცა როგორც მაღე გაირკვა, იგი შეცდა.

მაღალი სიცხისაგან გათანგულმა მარისკამ, რომელიც სუსტად განათებულ ნესტიან გვირაბში დედის მკლავებზე უღიროდ იყო მისვენებული, მხოლოდ ცალი თვალით გამოხედა ჯარისკაცისაგან საჩუქრად მიართულ ტიკინას და ტირილნარევი სუსტი ხმით ნამოსილუყუნა.

— მომავლორეთ ეგ საძაგელი ვირთხა... მე ჩემი თეთრკაბიანი პრინცესა მინდა, ჩემი აღისა!

თხანვერა უსამართლოდ დასჯილი ბავშვივით გაიბუტა, გული დანყდა, ცხვირიც აიბზუა. „სად არის ნეტავი პრინცესა აღისა?“ თავისთვის გაიფიქრა და დაახლოებით წარმოიდგინა კიდევაც როგორი იქნებოდა თოჯინა, რომელსაც ავადმყოფი მარისკა უკვე მესამე დღე გამუდმებით ნატრობდა. ალბათ მასავით ცისფერთვალაა, ოქროსფერთმიანი, თოვლივით თეთრი, და გულალმა გადანოლისას სასაცილოდ, გაბმით ჭყვიტინებს „მ...მ...“

ამასობაში წყნით გარინდულ ჯარისკაცს გამოკვებაბულში მყოფი სხვა ბავშვები შემოეხვივნენ — „ბიძია მირზა, აჩუკუ-დაობა და კუკუმალულობანა გვეთამაშეო“, — კი არ შეეხვეწნენ, ისე სთხოვეს, როგორც თანატოლსა და ამხანაგს. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან იგი იყო მათი ერთადერთი გამართობი, მეზღაპრე და ტაკიმასხარა. ერთადერთი იმიტომ, რომ გამუდმებული ბრძოლებით, შიმშილითა და წყურვილით ქანცვაცლილ მეზობლებს მათთან სათამაშოდ ილაჯი აღარ ჰყოფნიდათ, თხანვერა ჯარისკაცს კი დასვენებასა და ძალის მოკრეფას მათთან თამაში ერჩია, თავდაც ერთობოდა და პატარებსაც ამხიარულებდა.

მაგრამ ახლა ის მართლაც უგუნებოდ ჩანდა, თავჩაქინდრული იდგა და მარისკაზე და მის თეთრკაბიან პრინცესა აღისაზე ფიქრობდა.

ბელურებივით აჟრიამულებული ბავშვები უკან მობრუნებულმა ექიმმა გააჩუმა, ეს რას ბედავთ, აქ ხმაური როგორ შეიძლება, ხომ იცით თქვენი ამხანაგი რომ ავად არისო, — და ლაზარეთისკენ სწრაფი ნაბიჯით განაგრძო გზა.

თხანვერა ჯარისკაცმა ფარაჯის კალთაზე ჩაბლაუჭებული გოგონა მოიშორა, თავისივე ნახლებიანი ტიკინა შეაჩეჩა ხელში და ნინიმივალ ექიმს ბორძიკ-ბორძიკით გაედევნა.

— როგორ არის მარისკა, — ჰკითხა, როცა დაენია, — იმედიანად ვიყო?

ექიმი მოილუშა, შუბლზე ცახცახით გადაიხსვა ხელი. ცუდად არის, ძალიან ცუდად... არც ნამლები გვაქვს, არც რძე, თვითონაც ზედმეტად ჭირვეულობს, გამუდმებით ვიღაც აღისას ეძახის... ალბათ ბოდავს.

ექიმმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი, ამოიხსრა და ჯარისკაცს ისე გაშორდა, სასუგეშო სიტყვა არ დაცდენია.

თხანვერა გაოცებული გაუყვია მინისკვება ლაბირინოს. თვითნაკეთი ჭრაქებით სანახევროდ განათებული გვირაბის ორთავე მხარეს, კედლების გასწვრივ, დაძინილ ფა-

¹ პიგმალიონი — მითური ხელოვანი, რომლის ნახელავი — ქალის ქანდაკება დიორთებმა გააცოცლეს.
² მამილო კარლო — დურგალი, რომელმაც შექმნა ბურატინო.

რაჯებზე ჯარისკაცები იყვნენ მიწოლილი, ზოგს ეძინა, ზოგი ხმადობლა საუბრობდა, ზოგიც იარაღს წმენდა და ამზადებდა, ყველას გატანჯული, განანამები სახე ჰქონდა, გამუდმებულ შიშშიღ-წყურვილს ყველა-სათვის შესამჩნევი დალი დაესვა.

გვირაბის ბოლოს, მაღალთალიან დარბაზში ბავშვები, ქალები და მოხუცები ირეოლნენ, ყველა ტყვეობას გამოქცეოდა და მოთმინებით იტანდნენ გაჭირვებას. მხოლოდ ჩაბნელებულ კუნჭულში მიყუჟული, თავსა-



მატეარი მიხეილ ნონიკაშვილი

ფარში სახეჩამხობილი დედაბერი ქვითინება ჩუმაღ.

წვერგაბურძნულმა ჯარისკაცმა დარბაზის ბოლოს დაბალ, ვიწრო გვირაბში შეუხვია. მოხრილი მიაბიჯებდა, ვაივაგლახით მიავრტატუნებდა ყანჩასავით გრძელსა და ღონეგამოცლილ ფეხებს; იგი მაღალი იყო, ბუჭფართე, ერთ დროს გოლიათური აღნაგობისა, და ამიტომაც სხვებზე მეტად უჭირდა, რადგან წყლისა და საკვების ულუფა აქ, აჯიუმუშკაის კატაკომბებში შეხიზნულ ხალხს თანაბრად უნანილდებოდა და ფიზიკურად ძლიერებს, რომლებსაც, რალა თქმა უნდა, მეტი სმა-ჭამა სჭირდებოდათ, გაცილებით უფრო სწრაფად ასუსტებდა და აძაბუნებდა გამუდმებული გაჭირვება. ცოტა ხნის შემდეგ მიწისქვეშა გარნიზონის უფროსთან, რომელსაც ათახი საფიქრალი და თავსატეხი ჰქონდა, მაღალი, გამხდარი და წვერმოშვებული ჯარისკაცი შეიძურნა და დიდხანს, თავგამოდებით რაღაცას სთხოვდა და უმტკიცებდა. პოლკოვნიკი კარგა ხანს უარობდა, მაგრამ ჯარისკაცი ისეთი უტუბი და უჯი-ათი აღმოჩნდა, რომ ბოლოს და ბოლოს მიიწვ დაითანხმა.

— ზეგ დილამდე გამლევთ ვადას, — უთხრა გარნიზონის უფროსმა, — მოუტანეთ მარისკას თოჯინა, იმოქმედეთ რაც შეიძლება ფრთხილად, დამხმარედ ვერავის გამოგაყოლებთ.

იმ საღამოს თხანვერა უგზო-უკვლოდ გაქრა.

აჯიუმუშკაის კატაკომბებში შეხიზნული ბავშვები რამდენიმე დღე ამაოდ ელოდნენ მათ საყვარელ გამრთობ ჯარისკაცს.

გამოჯანმრთლებული მარისკაც ხშირად კითხულობდა მას და არავინ იცოდა, რომ აჯიუმუშკაის ლაბირინთიდან რამდენიმე კილომეტრის მოშორებით, ქალაქ ქერში, ფაშისტებმა მოკლეს პარტიზანი, რომელიც უკანასკნელ ვაზნამდე იბრძოდა. მხარში დაჭრილმა ფელდფებელმა, რომელმაც ამ უთანასწორო ბრძოლაში სამი ჯარისკაცი დაკარგა, პირველმა მიიბრინა ატალახებულ ქუჩაში გართხმულ, სისხლის გუბებში მცურავ კაცთან და გაავებულმა შაშხანა შემართა, რათა კონდახის დაკვრით ბოლო მოეღო სულთმობრძავისათვის, მაგრამ უცნაურმა სანახაობამ ჰაერშივე გაუშემა ხელი — თვალბეში სიკვდილჩამდგარ თხანვერა ჯარისკაცს სახეზე ბედნიერი ღიმილი გადაჰფენოდა, მკერდში სათუთად ჰყავდა ჩაქრული დიდი თვალბუჭუნა თოჯინა, რომელსაც ბალღური ოცნებასავით ქათქათა, თეთრი კაბა ეცვა.

გაუმარჯოს საქართველოს

ეს ვარდები, ყვავილები,
ყველა ჯიშის, ყველა ფერის,
შთაბარი და მწვერვალები
ჩვენია არის ყველაფერი!
ჩვენია და ჩვენ მოვუვლით,
რომ არავინ გადათვლოს,
გაუმარჯოს დელასავით
უსაყვარლეს საქართველოს!

ახსვირო ფოთლები

დედამ მითხრა:—ფოთლებიც
ამ ჰაერით სუნთქვენ!
რამდენიმე დაკრიფე,
კარგად გავასუფთავე,
ვატრიალე თითვებით
და მზის შუქზე დავეურებ,
ცხვირი ვერსად შევნიშნე,
ხის ფოთლებს და სამყურებს.
დამ თქვა:—ცხვირს ვერ უნახავ,
მთელი დღე რომ უცქირო!
— როგორ სუნთქავს ფოთოლი
ჰაერს, აბა, უცხვიროდ?!

რთველში

რთველშია მთელი კახეთი,
ზეიმობს არემარეო.
მტევანი რაა, კუმბალიც
პირთან არ გავიკარეო.
ვერ შოვიცაღე კამისთვის,
ვკრიფე და ოფლი ვღვარეო,
ზვარში ვიყავით ღამითაც,
სანამ გვიმზერდა მთვარეო.
ძილსაც კი გადავაფიწყდი,
ერთხელ არ დავამტქნარეო.
თუმც დავილაღე, არ ვდარღობ,
ვნახე ზვრიანი მხარეო.
ბევრიც ვიშრომე და ბევრიც
ვილხინე, ვიხარხარეო.
რთველი რა კარგი ყოფილა,
ჰო, რარიგ გავიხარეო!

ამთანდილ მუხამილიშვილი

ა ვ ა ზ ა

ზიზი ბაგვაქორი

შეხეთ რუკას, ჩვენ ბუნებამ
რა ქვეყანა გვითავაზა:
ის შავ ზღვასთან გაწოლილი
ზღვას გასცქერის, ვით ავაზა.
მაგრამ ერთი წამი უნდა,
რომ წამოდგეს და კამარა
შეკრას და მტერს დაეძგეროს
ვაჟაკურად და თამამად.






კაკლის ბერძენა

დღეს ირაკლიმ დიდი ხალა
კაკლის ტოტებს დაახალა,
დღეს ირაკლი კაკალს ბერტყავს
ჩვენი გულის გასახარად.
არის ერთი ჟრიაშული,
არის დიდი რაკარუკი,
თავქვე გარბის კისრისტებით
წიწილა და ბატის ტუკი.
ისე მარჯვედ ხედება ხალა,
არ შერჩება კაკალს წენგო,
ზოგი ცვივა მდინარეში,
ლასტი უნდა ჩავუნგრეთ.
დღეს ირაკლი არა ხუმრობს,
კაკალს დასცხო დიდი ხალა,
ზოგი აღბათ თავეს დარჩება,
ბალახებში მიიმალა.
ზედ რომ შერჩეს, რას მოისხამს,
მიდი, დასცხე და დაჰკარი,
თუ ფოთოლიც ძირს ჩამოვთა,
დაგიმალღებს ეს კაკალი!



1862 წარმოშობა 1982



დავით კლდიაშვილი ქართული მწერლობის სიამაყეა. მის შემოქმედებაში დიდი მხატვრული ძალით არის ასახული მე-19 საუკუნის საქართველოს, კერძოდ კი მისი ერთ-ერთი კუთხის—იმერეთის ცხოვრება. იმდენად ოსტატურად და შთამბეჭდავად არიან დახატული მისი გმირები, რომ შეუძლებელია მკითხველს ოდესმე დაავიწყდეს ისინი.

ბავშვებო, დავით კლდიაშვილის ნაწარმოებებს თქვენ სკოლაშიც ისწავლით და შემდგომშიც ალბათ არაერთხელ წაიკითხავთ. ჯერჯერობით კი შეიძლება ტელევიზიით ნანახი გქონდეთ რუსთაველის თეატრის შესანიშნავი სპექტაკლი „სამანიშვილის დედინაცვალი“ ანდა ამავე სახელწოდების ფილმი.


წელს დავით კლდიაშვილის დაბადებიდან 120 წელი შესრულდა. გთავაზობთ დავით კლდიაშვილის ნაწარმოებების ილუსტრაციებს, რომლებიც „დილის“ მთავარმა მხატვარმა გიორგი როინიშვილმა შეასრულა.



მხატვარი თემურა ფხიძიძე

ნიუ ოქტობერი

თუ გუდას



ზრდილი არის შინ და გარეთ,
არ შევარცხენს მშობელ მხარეს.



პირდაპირი, მართლის მთქმელი
არის მუდამ ოქტომბრელი.



რომ ძლიერი გახდეს ხვალ-ზეგ,
შეიყვარა სპორტი ძალზე.




უყვარს სწავლა, უყვარს შრომა,
არ სჩვევია უქმად ჯდომა.



პიონერებს უღვას მხარში—
სანიმუშო არის ბავშვი.

Handwritten text in Georgian script, including the word "საქონელი" (property) and other phrases.



Handwritten text in Georgian script, including the word "საქონელი" (property) and other phrases.



საქონელი
საქონელი
საქონელი



მნიხური

მომის ზრდასწავლის



დაკავებული გლეჯი

ტელეფონი ბ-ტუ-ტუ-ნდა...
უძალე ვერძილს დასწყება ჭიბა—
ლიკას ღვაწარაკი უნდა,
უკას მიტომ დაბურყა.
ლიკა უკას ვლილილიკა,
რე იყო და როგორ იყო,
ვლილილიკა ისე, თითქოს
არასოდეს ვლილილიკოს.
ლიკა უკას ვლილილიკა
ისე როგორც მკა თაკოს
იმახს, რასაც თურმე იკა
სამი დღეა ღვაწარაკობს.
სულ ამბობ ცდილობს მკობნი.
რომ დაბრუნე, არ ეტყებას სება,
როცა ღვაწარაკი ტელეფონით
ჭიბს ეღვაწარაკება.



მხელი რაე

სულ არ უნდა
ცხელ რძეს ჭება,—
დალიო და შეგარტება!
ვინც ბოლომდე შეჭებას სავსოს,
გბუ... გბუ...
გაუბარეოს!



ღალაქის ღალაქი

თუ გესურს
ბეჭად დაბრე, ბიჭო,
უბ თბე უნდა
მეიკრეჭო!

ჩაქაქი



აპაღლეყოფი ღალაქი და კარგაღლეყოფი ღალაქი

— თუ გესურს, კარგად ებზღე,
ღალაქო,

ამი უნდა გავღებო.
გავღებოა ამი ღალაქა,
ამღა ღალაქი
ხინკლებს უღალაქეს.
დაზღაღთ ზარი ღალაქეს,
მით სერწყვეთა: გავღებოა.



თვაგანაღი ღალაქაღას

რადღას უღდი,
რადღას ვღი,
მოიმარევე სავარცხღი,—
გადღისვი ფრთღიღად თავზე
დაბღრევე სიღღაღსე!



ვიღ იზრღება სხვაზე სწრაღად

ვინღ არ ტოვებს
უღამი თვაღას,
ის იზრღება
სხვაზე სწრაღად!



განძანე ჰსტე

მარი ბოლვაძე

დიდი საბარგო მანქანა კოხტა ტყეში გაგზავნეს შეშის ჩამოსატანად. ძალიან ცუდი გზა ჰქონდა გასავლელი, წვიმის ნიაღვრებისაგან ისე იყო მიჩეხვილ-მოჩეხვილი, ტალახის გუბეებითა და ტბორებით სავსე, რომ კოხტა სულ ჯაჯუაყუთი მიდიოდა. საწყალს ხან წინა ბორბალი ჩაუვარდებოდა გუბეში, ხან უკანა, ხან აქეთა, ხან იქითა. სულ ალაყმალაყ გადადიოდა.

— ასე თუ ვიარე, ტყემდე ალბათ სულიც არ შემჩრება,— ამ ფიქრში იყო, რომ უკანა ბორბალი კარგა დიდ გუბეში ჩაკრა და ველარც ამოიტანა: ბორბალი ტრიალებდა, რაც გუბეში ტალახი და წყალი იყო, შადრევანივით ზვევით ისროდა, თვითონ კი უფრო ღრმად ეფლომოდა მიწაში.

— ბღ-ღ, ბღ-ღ, ბღუ-უუუ, ერთი როგორმე გამოვძვრე აქედან და მე აქ წამომსვლელი აღარა ვარ, ვისაც უნდა, იმან ჩამოიტანოს შეშე.— გამწვარებული ბორგავდა და ბღუღდა. ამ გაწაწაწაში იყო, რომ დათუნია თათო წამოაღდა თავზე; იფ, რა ლამაზად ბუქნაობო,— ერთი კი ჩაიხიხითა, მერე უკანა მხრიდან მოუარა კოხტას, თავისი დიდი ტორები ძარაზე ამოჭრა და ხელად ამოახტუნა გუბიდან.

— უმ, რა მეშველებოდა, შენ რომ არ გამოჩენილიყავი? იცო რა!— დაფიქრდა კოხტა, — შეშა ვისაც უნდა, იმან წაიღოს, მოდი, გაეჩინებ.

დათუნია მჯერ კოხტას შეხედა, მერე გზას, და ტურები აპრუწა.

— ამ გზაზე? თავი მოსაკლავი კი არა მაქვს!

კოხტა კიდევ დაფიქრდა: — მშინ იცი რას გეტყვი, მოდი, ჯერ გზა გავსწოროთ, ჰა?

— მოდი!— ხელად დაეთანხმა თათო.

დათუნია თათო მანქანას კაბინაში შეუძვრა და კოხტამაც სასწრაფოდ ხვევისაკენ მოუსვია. ხვეიდან ქვიშა მოიტანეს.

სწორება გზის ბოლოდან დაიწყეს. კოხტა ნელ-ნელა, ტატიტ მიდიოდა, თათო ძარაზე იჯდა და დიდი ტორებით ქვიშას აბნევდა გზაზე.

— ოი, ოი, როგორ შეწუხდით ჩემი გულისთვის!— თან უპაროდა გზას, თან მორიდებისაგან იბრცებოდა.


— შენი გულისთვის კი არა:— ჩუტრუტებდა კოხტა, დათუნია თათო კი მზიარულად მითხითებდა. გზა რომ მოასწორეს, მერე შეშის წალემა მოხდასათათო.

ერთხელ კი არა, ვინ იცის რამდენჯერ ჩაიტანეს შეშა ადგილზე. ძალიან მოსწონდათ სწორ გზაზე სიარული, ვარბოდნენ და გამორბოდნენ. საქმესაც აკეთებდნენ და სეირნობდნენ კიდევ.

სალამოს კოხტამ დათუნია თავის საყვარელ ტყეში წაიყვანა, თვითონაც თავის გარაჟში წაბრძანდა. მივიდა თუ არა, ფარები ჩააქრო — თვალები დახუჭა, და საქმითა და სეირნობით დაღლილმა ტკბილად დაიძინა.



გორგოპი



ნიკო ფიროსმანი (ფიროსმანაშვილი) დიდი ქართველი მხატვარია. მას არ გაუვლია მხატვრობის სკოლა, სატყეს იგი მველ ტაძრებზე შემორჩენილი ფრესკების მიხედვით სწავლობდა, აკვირდებოდა ცხოვრებას, შესანიშნავად იცნობდა ხალხურ შემოქმედებას.

ნიკო ფიროსმანს დღეს მთელი მსოფლიო იცნობს, სადაც არ ეწეობა მისი გამოფენები — მოსკოვში, ჰარისში, ვენეციაში თუ ვარშავაში. ეველგან მოხიბლული არიან მისი შემოქმედებით და აღტაცებას გულწრფელად გამოსატყვენ.

ფიროსმანის ხელოვნება უაღრესად ეროვნული, ქართულია, მაგრამ ამასთანავე, როგორც უოველი ნამდვი-

ლი ხელოვნება. ზოგადკაცობრიულიც, როგორც შოთა რუსთაველის, ბექა ოპიზარის, დავით გურამიძეების, დამიანეს, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, ვაჟა ფშაველას, გალაკტიონ ტაბაძის, დავით კაკაბაძის, ლადო გუდიაშვილის შემოქმედება, ნიკო ფიროსმანის ხელოვნებაც ქართველი ერის შემოქმედებითი გენიის ბრწყინვალე გამოსატყუებაა. მისი სახელი უკვდავებისთანაა წილნაუარი.

ბაუმგებო, ფიროსმანის ნახატები თქვენ შეგიმლათ ნახოთ თბილისში — საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, მირზაანში, ფიროსმანის სახლ-მუზეუმში, ქუთაისისა და ფოთის სამხატვრო გალერეებში.

კთავაზობთ ფიროსმანის ცნობილ ნახატს „ჭირაფი“.



ს ს ე უ ლ ი

ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინათ არსებობდა გამოთქმა: „ჯანმრთელ სხეულში ჯანმრთელი სულია“. ადამიანებმა დიდი ხანია გაიგეს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს საკუთარ სხეულზე ზრუნვას, რათა ის ყოველთვის ჯანმრთელი, ძლიერი და ღამაზი იყოს.

ადისათვის ორი საშუალება არსებობს — ფიზიკულტურა და წრთობა. ფიზიკულტურის სარგებლობას ცხოველებიც კი გრძნობენ. ამა დააკვირდი, როგორ იღვძობენ დიდი ძალი ან და კატა.



თავდაპირველად ისინი ისე იზმორებიან, რომ ძვლები ტკაცუნენ იწყებს. მერე წინა თათებს შიღიან, მერე ზურგს ჩახხევენ. ცხოველებიც აკეთებენ თავიანთი დიდის ვარჯიშს, თუმცა, რა თქმა უნდა, რადიოს არ უსმენენ. ხალხი მიღობობით ადამიანები დიდობით ჩართავენ რადიორეპროდუქტორებს და რექტორის კარნახით იმართებიან, ხტუნავენ და ბუქნავენ.

ლამით, როცა ჩვენ გვძინავს, ჩვენი კუნთები მოშვებულია, გული, ფილტვები და კუჭ-ნაწლავი მხოლოდ ნახევარი ძალით მუშაობს. დიდის ათითხუთმეტრი წუთის ვარჯიში ორგანიზმს ღამის დასვენებრიდან დღის რეჟიმზე გადასვლაში ეხმარება. რამდენიმე ვარჯიშის მერე ძარღვებში სისხლი უფრო სწრაფად იწყებს მოძრაობას. სახსრები გაიშლება, კუნთები ახალი ძალით ივსება, ფილტვები ატკიურად შეისუნთქავს ჰაერს, გული უფრო ენერგიულად ცემა.

ადამიანს ხადისიანი განწყობილება უჩნდება, მოძრაობისა და მუშაობის სურვილი ებადება.

შენ, რა თქმა უნდა, ფიქრადაც კი არ მოგვივა, დიდი სახლიდან დაუბანელი და დაუვარცხნელი განვიდვ. არც ჩაის დადევა და გავიწყდება. ხალხი სპორტსმენები, ტურისტები, ჯარისკაცები და მფრინავები — ეს ყველაზე ჯანმრთელი და ძლიერი ადამიანები, არასოდეს არ ისაუბრებენ თუ ჯერ დიდის ვარჯიში არ შეასრულეს. გირჩევთ, შენც ასე მოიქცე.

დიდის ვარჯიში ფიზიკულტურის ანბანია. კიდევ რამდენ სიხარულის მომტანს, გასართობ და საინტერესოს რამეს სთავაზობს ფიზიკულტურა ბავშვებს!

მაუხლოებით — ფეხბურთი და ველისბურთი, ცურვა და სირბილი, ბადმინტონი და ფრენბურთი და სხვ.

ზამთრობით — თხილამურები, ციგები, ციგურები.

რომელიც გსურს, აირჩიე და დროს უქმად ნუ დაკარგავ. მაშ ხომ არ გინდა, იმ უქმარა და ღიობან ბავშვებს დაეგვანო, ფეხები ძლივს რომ დააქვთ და ათ წუთსაც ვერ დაჯდებიან ისე, რომ ხელებს არ დაეყრდნონ.

გაითვადისწინე კიდევ ერთი რამ: რაც უფრო ძლიერი და მაგარი იქნება შენი ორგანიზმი, მით უფრო სწრაფად და იოლად გაუმკლავდები ავადმყოფობას. ხოლო, იმისათვის, რომ რაც შეიძლება ცოტა იავადმყოფო, შენი სხეული უნდა გამაღწიო.

ღირს ვარჯიშის შემდეგ ტანი სველი ტილოთი დაიბიდე, მიიწვიე წვიმასა და ქარს, სიციხესა და სიცივეს, მხოლოდ ის ცივდება ხშირად, ვინც დღემუდამ ოთახში ზის და ლუმენს ვეციხება. ადამიანის ორგანიზმს ერთი შესანიშნავი თვისება აქვს, თანდათანობით ეჩვევა ცხოვრების ყველაზე უფრო რთულ პირობებსაც კი.

გაიხსენე, როგორ ცივდები ხოლმე ზამთრის დასაწყისში, თუმცა, კაცმა რომ თქვას, არც თუ ისე ცივა. ხოლო იანვარში, როცა უკვე ყინავს, გახურებული ციგაობისა და გუნდაობისას სიცივეს ვერც კი გრძობ.

უპირველეს ყოვლისა, წესად გაიხადე ყოველგვარ ამინდში, ყოველდღე ორი-სამი საათი მარინც გაატარე ჰაერში. ამასთან არ უნდა შეიფუთხო.

ზოგი ბავშვის დედა გაცივებისაგან რომ დაცივას შვილი, რაც შეიძლება თბილად იცუმებს მას. სინამდვილეში კი ეს, თქვენ წარმოიდგინეთ, გაცივების უტყუარი მიზეზია. თავდაპირველად, სიცივეში და თბილ ყელსახვევში გახვეული ასეთი „მცოვანა“ ოფლიანდება, მერე კი ცივდება და სურდოსა და გრიპს ვეღარ იცილებს.

ზაფხულში ტრუსებში და მაისურში ითამაშე პაერზე, გაზაფხულზე და შემოდგომაზე მსუბუქი სპორტული კოსტიუმი ჩაიცვი. თუ გარეთ სიცივეა, სწრაფად გაიქეცი და გახურდები. ზამთარში, თუ ძლიერ ყინავს, ტყუილად ნუ მიიხვევ ყვლეზე სქედ ყელსახვევს, ნუ ჩაიცვამ კურტაკის შიგნით ზედმეტ სვიტერს. რაც უფრო ნაკლებად შეგეშინდება სიცივის, მით უფრო გამაღწიო.

ახლა ერთი რამ დარჩა გასარკვევი. იცი თუ არა, როგორ უნდა დაისვენო?

ნუ გაგვიკვირდება: იმისათვის, რომ დასვენებამ სარგებლობა მოგიტანოს, უნდა ისწავლო სწორი დასვენება. აბა ახლა ასეთი ამოცანის ამოხსნა სცადე.

ორ ამხანაგს დასვენების დღე ჰქონდა. ერთი დღიდანვე დივანზე მოკადათდა და საღირობამდე აურნადუნდა და ნახატებს ათვადირებდა. სადილის შემდეგ ტელევიზორით ნახა მთელი პროგრამა მულტფილმიდან მყოფლებული, ფეხბურთის მატჩით დამთავრებული. მისმა ამხანაგმა კი დღი



ლით ივარჯიშა, დღე ათასი საქმე აკეთა, საღამოს კი საცივად წავიდა.

როგორ ფიქრობთ, რომელმა უკეთ დაისვენა და მოიკრიბა ძალა შემდეგი კვირისთვის?

შეიძლება უცნაურად გეჩვენოთ, მაგრამ ჩვენი ორგანიზმი ასეა მოწყობილი—მაშინ კი არ ისვენებს უკეთ, როცა არაფერს აკეთებს, არამედ მაშინ, როცა ერთ დღეობისთვის მეორით ცვიოს.

თუმცა ეს შენც კარგად იცი. როცა საწვერ მაგიდასთან დიღხას ზიხარ და ძნელ ამოცანას ჩაჰკირკიტებ, სურვილი გინდებდა ადგე და ერთი კარგად გაიბზოლო. ორგანიზმი თვითონ გიკარნახებს, თუ რა სჭირდება მას დასასვენებლად.

როცა ადამიანი წერს ან კითხულობს, მისი ტვინის უჯრედების ერთი ნაწილი მუშაობს, ხოლო როცა დარბის—სხვა. თუ წიგნის კითხვას, ვთქვამთ, სირბილით შეცვლი, ამით დასვენების საშუალებას მისცემ იმ უჯრედებს, რომლებიც კითხვაში გუხმბერებოდა, ხოლო თუ სირბილის შერე ისევ წიგნის კითხვა დაიწყებ, დასვენების საშუალებას უკვე ტვინის იმ უჯრედებს აძლევ, რომლებიც სირბილის დროს შენს სხეულს მართავდნენ. თუ ჯანმრთელი სხეული საერთოდ არ მუშაობს, ის ძალას კი არ იკრებს, არამედ სუსტდება. ჩააწვიინეთ ჯანმრთელი ადამიანი ლოგინში და ორი კვირის შერე ისე დასუსტდება, რომ ოთახშიც ძლივს გაივიდოს.


ახლა შენ ბევრი რამ გაიკეთე საკუთარ სხეულზე. აბა შენ იცი, როგორ იყურალებ, როგორ გააკეთებო და გამაღწიო.

17.10.4


ს. მათხიძის სახ. ხაბ. სსრკ.

ქართული კალენდარი

მზია, ნია, ნათია, ზეინაბ, ზვიად, რეზო, დათო და სხვებო! შეეჯიბრეთ ერთმანეთს, ვინ მეტ თითოსიტყვიან რებუსს შეადგენთ, აი, მაგალითად, ასეთებს:



კ რო ს ს უ რ ი



თარაზულად: 2. 4. 9. ქართული ხალხური ზღაპრების გმირები. 7. იტალიელი მწერლის ცნობილი ზღაპრის გმირი.

შვიულად: 1. 6. 8. ქართული ხალხური ზღაპრების გმირები. 3. ამერიკელი მწერლის ზღაპრის გმირი გოგონა. 5. რუსი მწერლის პოპულარული ზღაპრის გმირი.

ბავშვებო! ეს კროსოვორდი თბილისის 1 ექსპერიმენტული საშუალო სკოლის II კლასის მოსწავლემ გურანდუხტ არაბულმა შეადგინა. თუ თქვენც გამოგვიგზავნით უმეტესობა შედგენილ კროსოვორდს, გამოვაქვეყნებთ.

კროსოვორდი ძალიან საინტერესო ამოცანაა, რომელშიც პაუზაინა ცვლადობდა დაყოფილ თარაზულ საშუალო მწკრივებში ისე უნდა ჩაისვას სიტყვები, რომ ერთიმეორის გადაწყვეთ უჯრებში მათ საერთო ასო ჰქონდეთ. სახელი „კროსოვორდი“ იმიტომაც ჰქვია ამ თავსატეხს, რომ კროს ინგლისურად გადაკეთას, ჯვარს ჰქვია, უორდ კი—სიტყვას. ესე იგი კროსოვორდი გადაჯვარდინებული, ერთმანეთის გადაწყვეთი სიტყვებია.

კლავი ნაბატი ირაკლი ფარქაძისა

მთავარი რედაქტორი ენკრა ნიქარაძე

სარედაქციო კოლეჯია: იმუხარე აფთხაძე, ილია ანთაზაია, ანაბერი გომეზაშვილი, სოლომონ მეზურხანაშვილი, ლიბია ბარაძე, მანანა კოხანაძე, ზორბა ლეშაშვილი (გვ. მდივანი), გულა ლოხა ბერიძე, იმუხარე მრეხილიანი, ჯურბა ნაღიძე, გიორგი კოჩინაშვილი (სამხატვრო რედაქტორი), ზივი მშაღაძე, მანანა ხაჩიძე, ზივი ზიზინაძე.

ტექნიკური რედაქტორი ენდ წერეთელი

მისამართი: რედაქცია, გამომცემლობა, სტამბა — თბილისი, მდინარის, 74. გულა მე. რედაქტორი — 83-4430, 83-88-18; ენდ წერეთელი — 83-10-32, 83-88-18; სამხ. რედაქტორი — 83-88-18; ტელეფ. 83-88-18.

გაზეთი დასაწყობდა 3/VIII-82 წ. სელმოწერილია დაბეჭდილად 21/X-82 წ. კალენდრის ზომა 61X101, ფხვ. ნახ. ფურც. 25, ტირაჟი 167,000. ფეკ. № 1810. „აღნიშ“ № 10. ჟურნალ და მადშეკლასნიკო, ნა გრუაინომ ვაჟიკე. Главный редактор Э. Ницарაძე. Тбилиси, ул. Пешина, 14. цена 20 ლ.

საბჭოთა ვაშლის
ალექსანდრის
და 3. ი. ლენინის
სახელოვანი
პროფესორის
მარტინოვიჩის
სახელოვანი
საბჭოთა
შრომის
შემკრთობა-
სწავლის

გამომცემის
გვ. წელი
საქ. კ. ც. ც. ც.
გამომცემლობა
Издательство
ЦК КП Грузии

ნუ ზღვივ ლავითო...

მხატვარი
ელზარ აგონიაძე

